საბჭოთა ჩემპიონატი ფეხბურთში

განვლილ შაბათ–კვირას გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის.

თბილისი ვ. ი. ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონი, 23 სექტემბერი.

"დინამო" (თბილისი) – " არარატი" (ერევანი) 1:1 (1:1)

"დინამო", გაბელია (ხაპოვი 46), კეტაშვილი, ცხადაძე, (ჩიქოვანი 68) ჭედია, ჯიშკარიანი, ნემსაძე, სვანაძე, ცვეიბა, ქეცბაია, კაჭარავა, გოგიჩაიშვილი.

"არარატი" პოდშივალოვი, კამალიანი, ვ. ხაჩატრიანი, . ხაჩატრიანი, ოგანესიანი, ენგიბარიანი, ოსეპიანი, მელიქიანი (სუკიასიანი 85), ოვსეფიანი (მარკოსიანი 81) ხაშმანიანი, აგასიანი.

მსაჯი ა. სპირინი (მოსკოვი).

ალბათ შორს წაგვიყვანს იმ საინტერესო შეხვედრების ჩამოთვლა, რომლებიც ერევნის "არარატსა" და თბილისის "დინამოს" შორის გამართულა.

მაყურებლით სავსე ტრიბუნები ოვაციებით ხვდებოდნენ ტყავის ბურთის ორი თვითმყოფადი კოლექტივის გამოსვლას. წლევანდელ სეზონში კი ორივე გუნდი თავის შესაძლებლობებზე სუსტად თამაშობს.

სანამ უშუალოდ თბილისში გამართული შეხვედრის ანალიზს შემოგთავაზებდეთ, გვინდა ამ გუნდების პირველი წრის მატჩი შევახსენოთ მკითხველს. შეხვედრა 14 მაისს ქ. სოჭში დაინიშნა. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ სომხეთის დედაქალაქში იმ დროს კომენდანტის საათი მოქმედებდა. თამაშის დღეს კი თბილისელთა ხელმძღვანელობამ მიიღო დეპეშა, რომელმაც გვამცნო, რომ სომეხ გულშემატკივართა თხოვნით მატჩი ერევანში ჩატარდებოდა. ჩვენმა გუნდმა დაუყოვნებლივ მიიღო სწორი გადაწყვეტილება და ერევანს ჩაფრინდა.

ამ მატჩის შესახებ ბევრი დაიწერა და ითქვა, ხოლო თამაშზე დამსწრე მაყურებელს, რომელმაც უშუალოდ იხილა ეს ნამდვილი სპორტისა და მეგობრობის ზეიმი, მთელი ცხოვრების მანძილზე ტკბილ მოგონებად დარჩება 1989 წლის 14 მაისი–მეგობრობისა და მეზობლობის ნამდვილი დღესასწაული. გახსოვთ, ის მატჩი ერევანში ფრედ 0:0 დასრულდა.

და აი, მეორე წრის შეხვედრის ანალოგიურად წარიმართა მატჩი თბილისშიც. ფეხბურთელები ყოველნაირად ცდილობდნენ კორექტულად ემოქმედათ და ეს მათ კარგადაც გამოსდიოდა. ამ დღეს, ისევე როგორც ერევანში, უკანა პლანზე გადაინაცვლა ქულებისათვის თავდაუზოგავმა ბრძოლამ. მართალია, ამით დაიკარგა ის ტრადიციული აზარტული სპორტული ჟინი და სანახაობრიობა, რითაც ამ გუნდების შეხვედრები გამოირჩეოდა, მაგრამ სანაცვლოდ მაყურებელს საშუალება მიეცა სხვა კუთხით დაენახა ამ ორი ახალგაზრდა კოლექტივის სახე, ეხილა მათი ხვალინდელი დღე.

შეხვედრა ორმხრივი იერიშებით დაიწყო. პირველი ბურთი მე–19 წუთზე თბილისელთა მრავალსვლიანი კომბინაციის შემდეგ დინამოელთა შორის ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე გ. ნემსაძემ გაიტანა, მან სწრაფად აუღო ალღო მეტოქის საჯარიმოში შექმნილ სიტუაციას და მეკარე პოდშივალოვისაგან მარცხენა დაბალ კუთხეში მოჭრილი დარტყმით გახსნა ანგარიში.

წონასწორობა სტუმრებმა 28–ე წუთზე აღადგინეს. საჯარიმოში უმეთვალყურეოდ დარჩენილმა მელიქიანმა ახლო მანძილიდან ძლიერი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში. დარჩენილ დროში მეტოქეთა ცდას, შეეცვალათ ანგარიშში სხვაობა, შედეგი არ მოჰყოლია, ფრე – 1:1.

თამაშზე მოსულმა მაყურებელმა ოვაციებით გააცილა შეხვედრაში მონაწილე ფეხბურთელები.

”ლელო” 26 სექტემბერი 1989 წ.